სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

09 თებერვალი 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 08 თებერვლის N 143550 ბრძანების საფუძველზე შექმნილი
სატენდერო კომისიის ოქმი №01

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

ირაკლი რობაქიძე– სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი.

ზურაბი ხეცურიანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი;

დღის წესრიგი

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა დამტკიცება.
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

მოისმინეს:

უცხოელის მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2022 წლის 26 დეკემბერს (სატენდერო განცხადების N NAT220028316), რომელიც არ შედგა. ხელახალი ტენდერი გამოცხადددა 2023 წლის 12 იანვარს (სატენდერო განცხადების N NAT230000496), რომელიც ასევე არ შედგა. 2023 წლის 26 იანვარს კიდევ ერთხელ გამოცხადდა ტენდერი (სატენდერო განცხადების N NAT230001598), რომელიც არ შედგა.

ტენდერებში მონაწილეების მიერ მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზის დადგენისთვის სატენდერო კომისიის წევრი ნიკო გიგოლაშვილი დაუკავშირდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს, რომელმაც განმარტა, რომ მისთვის სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული ტენდერი საინტერესო არ არის, რის გამოც არ გეგმავს მონაწილეობის მიღებას. ფასების კვლევაში მონაწილე სხვა კომპანიამ განმარტა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია საჭიროებდა მეტ სრულყოფას, რომ მისთვის საინტერესო გამხდარიყო ტენდერში მონაწილეობა.

სატენდერო კომისიის წევრმა, ნიკო გიგოლაშვილმა ხელახლა მოამზადა ჯანმრთელობის დაზღვევის სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც მაქსიმალურად დეტალიზებულია და ითვალისწინებს როგორც ტერმინთა განმარტებას, ასევე ანაზღაურების პროცედურებს.

განიხილეს:

კომისიის წევრების აზრით მიზანშეწონილია ხელახალი ტენდერი გამოცხადდეს ბოლო ტენდერის ფასის გათვალისწინებით და გამოყენებული იქნეს კორექტირებული სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დასაზღვევი პიროვნებების რაოდენობა განისაზღვროს 35 პერსონით, ხოლო ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღროს 22050 (ოცდა ორი ათას ორმოცდა ათი) ლარის ოდენობით (დაზღვევის პერიოდი 9 თვე, 1 პერსონაზე გადასახდელი პრემია 70 ლარი).

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ წარმოდგენილი სახით.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procument.gov.ge -ზე.

სატენდერო კომისიის და აპარატის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები:

ია ძებისაური -

ნიკო გიგოლაშვილი -

ირაკლი რობაქიძე -

როსტომ თოლორდავა -